ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 292

ქ.თბილისი 05 დეკემბერი, 2016 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი - (შემდგომში - შემსყიდველი ორგანიზაცია), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის გიორგი კაკაურიძის სახით და მეორეს მხრივ, სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ნიკა ახალბედაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ, რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 მარტის №598 განკარგულების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

ხელშეკრულების საგანია ნაბეჭდი სახით ნორმატიული აქტების შესყიდვა (CPV 22110000), კერძოდ:

1.1. 320 ეგზემპლარი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (ა-5 ფორმატი, გარეკანი - პრიალა ფერადი 300გრ, შიგთავსის ქაღალდი 80 გრ ოფსეტი).

1.2. 320 ეგზემპლარი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (ა-5 ფორმატი, გარეკანი - პრიალა ფერადი 300გრ, შიგთავსის ქაღალდი 80 გრ ოფსეტი).

1.3. 320 ეგზემპლარი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (ა-5 ფორმატი, გარეკანი - პრიალა ფერადი 300გრ, შიგთავსის ქაღალდი 80 გრ ოფსეტი).

1.4. 320 ეგზემპლარი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (ა-5 ფორმატი, გარეკანი - პრიალა ფერადი 300გრ, შიგთავსის ქაღალდი 70 გრ ოფსეტი).

1.5. 320 ეგზემპლარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (ა-5 ფორმატი, გარეკანი - პრიალა ფერადი 300გრ, შიგთავსის ქაღალდი 80 გრ ოფსეტი).

1.6. 320 ეგზემპლიარი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (ა-5 ფორმატი, გარეკანი - პრიალა ფერადი 300გრ, შიგთავსის ქაღალდი 80 გრ ოფსეტი).

II. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

2.1. ერთი ეგზემპლიარის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ღირებულება შეადგენს 7.60 ლარს.

2.2. ერთი ეგზემპლიარის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ღირებულება შეადგენს 7.60 ლარს.

2.3. ერთი ეგზემპლიარის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ღირებულება შეადგენს 7,50 ლარი ლარს.

2.4. ერთი ეგზემპლიარის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ღირებულება შეადგენს 10,20 ლარს. ლარს.

2.5. ერთი ეგზემპლიარის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (ორივე გაერთიანებული ერთ წიგნად) ღირებულება შეადგენს 5,5 ლარს.

2.6. ერთი ეგზემპლიარის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ღირებულება შეადგენს 8 ლარს.

2.7. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 14 848.00 (თოთხმეტი ათას რვაას ორმოცდარვა) ლარს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის გათვალისწინებით. ხარჯები, რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულებაში არ არის დაფიქსირებული, არ ანაზღაურდება.

III. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება არაუგვიანეს 2016 წლის 20 დეკემბრისა.
3.2. მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების 32, შემსყიდველის საწყობი.
3.3. მიწოდების ადგილზე საქონლის ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი სახსრებით.

IV. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად საქონლის მიწოდების და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილია ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი.
4.3. მიღება-ჩაბარების აქტი დგება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი მიმწოდებელს.

V. ანგარიშსწორების ფორმა, ვადა და ადგილი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
5.2. დაფინანსების წყარო: 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.
5.3. ანგარიშწორების ფორმა უნაღდო
5.4. ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
5.5. ანაზღაურების ადგილია ქ.თბილისი.

VI. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება;

6.3. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს:
- განახორციელოს ინსპექტირება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე; ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი.
- მოსთხოვოს მიმწოდებელს ინსპექტირებისას გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
6.5. მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას ბეჭდვითი სახით გამოცემული ნორმატიული მასალა, სისტემატიზებული სახით 2016 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით;
6.6. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

VII. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. ხელშეკრულების შესრულების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობაზე ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელი/წარმომადგენლები.

VIII. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების ერთი მხარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარე წერილობითი ფორმით უწესებს მას დამატებით ვადას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისათვის.

8.3. ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ დამატებით ვადაში ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

8.4. ხელშეკრულების მხარეს, მის მიერ შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულების 0.02 პროცენტის ოდენობით.

8.5. თუ ერთი მხარისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

IX. ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1. მხარეები პასუხისმგებელნი არ არიან თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ხელისშემშლელ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგ.

9.2. თუ ფორს-მაჟორული გარემოებების გამო სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობა გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

X. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. ხელშეკრულებების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევაშიც ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს 10%-ისა.

10.2. ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ნებისმიერი ცვლილება და დამატება ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერ ცვლილებაზე უნდა გაფორმდეს შეთანხმება, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

XI. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

XII. დავა და მისი გადაწყვეტის წესი

12.1. წამოჭრილი დავა ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოლაპარაკებების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

XIII. სხვა პირობები

13.1. საკითხები, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ორ-ორი ეგზემპლარი). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

XIV. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები, ბეჭედი

შემსყიდველი:
საქართველოს იუსტიციის უმაღლეს
საბჭოსთან არსებული
სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი
ს/კ 203860642
მის.: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #32

გიორგი კაკაურიძე
თავმჯდომარის მოადგილე

მიმწოდებელი
სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ. #3
ს/კ203862622
სახელმწიფო ხაზინა
TRESGE22
ანგარიშის ნომერი: 707407076
ტ: 2941645

ნიკა ახალბედაშვილი
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

05.12.2016

ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერნი, ვადასტურებთ, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ, ნაბეჭდი სახით ნორმატიული აქტების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

(სახელი, გვარი)	*(ხელმოწერა)*
გიორგი კაკაურიძე	
მარიანა გამჯაშვილი	
ნათია თელია	